

ბამონცემული ბ. აკნაუბოვისაგან

საშინელი-ოშის ლექსეზი

სქმთ მოკავშირეთს
და

ავსტრო-გერმანის და სერბია-ჩერნავორისა
და აგრეთვე
ოსმალეთისა.

გ. სტანკოვიჩი

ეს ამბები დაწერილებით შედგენილია, — დარსკანისა.
ვილკელმის უსამართლო ბაშბუზუკობა
და მისი მხეცური ჩინგის — ხანობა

29283



თბილისი მსწრაფი საფილტავო სტამბა „სოროპანი“ მად. კუნ № 1



საშინელი-ოპის აგებუბი

ებლანდელი საშინელი ოპის მიზეზი ავსტრიის-
მემკვიდრის მოკვლით წარმოსდგა.

თავი I

ახლანდელ ოპის მიზეზი:

სწრაფ მემკვიდრის მოკვლა იყო! —
როს გაიგო ფრანც-იოსები
მისთვის მეორედ — მოსვლა იყო...

არ იცოდა თუ რა ექმნა? —

სწრაფ თავ-ზარი დაეცაო!..
სერბიის მეფეს განუცხარდა;
დიდ ფიქრებსა მიეცაო!..

სერბიის მეფეს სწრაფ მისწერა:

ეს რა საქციელი არი?!
ნუთუ თქვენში თავ — გადასვლა
ასრე მიღებული არი?!.

მე ამ საქმეს ვერმოგითმენ, —
მოემზადე საომრათა?
შენ ამ საქმეს არ შეგარჩენ,
ამოგწყვიტამ... გაგხლი მტერათა!..

Handwritten note in Georgian script, oriented vertically on the right side of the page.

საზარელ ომის მიზეზი,
სწორედ ამისათვის მოხვდა,—
და სერბიაც უშიშრათა,
ავსტრიასა მედგრად დახვდა!

აქ პასუხი სერბიის-მეფისა, -ავსტრიის მეფისადმი

ნეტარი რას მემუქრები?!
მე, შენგნით არ მეშინიან,
რა უყოთ თუ დიდ-მეფეხარ;
ომის, არ მგრიდებიან! —


ნუთუ მე, ვიყავ მიზეზი,
რო მკვლელობა მოახდინეს?
მე, თვითონაც გამიკვირდა,
ეს საქმე რად ჩაიდინეს?!

ეგებ მკვლელი ვინც რო იყო:
მან ჭკვაზედ შეშლილი იყო
აბა რა ჩემი ბრალია,
რო ის ჭკუაზედ თხელი იყო!

განა თქვენ ხალხში არარაი:
თავიდან ხელ—აღებული?
სულელი, ჭკუიდან შემცდარი
და აყვეს გახელებული.

რაკი უფიქროთ ირჯები
და მაგრე გაქვს სამართალი,
დოეს ანუ ხვალ გამოჩნდება,
შინც არის ზღვის მი მართალი!

რა უყოთ დიდი ბრძანდები
რა გაწყინე მაგისტანა? —
მართალია პატარა ვარ,
ვერას მიზამს შენისთანა!!



ინგლისელების და გერმანიელების ფლოტის შეტაკება, ილუ-
პება ინგლისის გემი.

II

აქ იწყება ომი საშინელი, ავსტიისა და სერ-
ბიისა და ჩორნაგორიისა.

მცოვან მეფეს სულ არ შერცხვა,
სერბიას უწყია ბრძოლაო.
ფიცხლავ ჯარი მიუგზავნა,
სწრაფ ომიც შეაყოლაო!..

სერბიამ ომის ველზედა: —
მედგრად დაუხვდა წინაო,
სრულობით არ შეუშინდა
და არცა მოუთმინაო!

მცოვან — მეფეს დამიხედეთ:
უსამართლოდ რაებს ჩადის?
თვის შემკვიდრის გამოისოთ,
შეხედ სერბიას რას უქადის?! —

სერბია მის ქვეშ არ დარჩა,
თავის ძალა შედგრად სცადა;
ყოველ ალაგს დაამარცხა
საქმე ძნელად გაუხადა!..

ჯაფრისაგან ავსტრიაშიც
წინ წასწია თვის ჯარსი
სერბიის სატახტო ქალაქსა
დაუშინა ყუმბარები!..

გაჯაფრებით ვერა გახდა:
ბელგრადს, ვერა დააკლო,
მრავალი ჯარი გაწყვიტა
ლაშის თავით ზედ წააკლო!

სერბია სუ წინ იწევა,
სულ არ შიშობს არაფრისა!
ასრე საქმე მიაყენა,
რომ მის ჯარი ფეხ ქვეშ სრისა!

ჩერნაგორიამ რა-კი ნახა;
იგიც ხელი გავიშვირა;
მიეშველა სერბია,
იმას მხარი დაუჭირა

მკითხველო, წავიდეთ ვნახო:
თუ რა აურ—ზაურია!
ავსტრიისა—კაცისი,—თავ—
გახდა ერთი შაურია!!.

ბევრი კაცი იქლიტება,
თვლა არა აქვს კაცის გვამსა!
ორივ მხრიდან იხოცება
ვინ შეადგენს იმათ ჯამსა?!

სისხლი რუსაგებ მიდისო:
ჟურთა—ერთსა არ ინდობენ!
ბევრი ტყვე და ზარბაზნები,
სერბიელნი ხელთ იგდებენ!

როს გაიგო რუსთ-ხელმწიფემ:
ავსტრიისა მოქმედება,
ჟუსამართლო მისი ქცევა
და სებიის დაბრძოლება!...

ღმერთივით არ შეიწყნარა:
ამაზედ თავი იჩინა.
სწრაფ სერბიას წაეშველა
მის მფარველად მოევლინა!..

სწრაფლად ჩვენმა ხელმწიფემ:
ავსტრიას განუცხადა ომი,
სერბიასა დაეხმარა, —
რადგანც იყო სლავიანთ — ტომი.

ეს ავსტრიამ როს შეატყო:
რუსის „სუსხი“ გასასტერი!
უცებ ტანში მაიშალა
აერია მონასტერი!!.

დაიწყო ფიცხელი ომი:
რუსის მხრიდან, — სერბიიდან.
აერია მთლად დავთარი
ავსტრიასა, ორივე მხრიდან.

ფრანც-იოსები ბევრ-ინანა:
ეს მიქარვა მოუვიდა!
ქალაქები ხელთ — წაერთვა,
ჯაფრი ფუქად ჩაუვიდა!..

ახლა ზის და ძრიერლ ნანობს,
წასულ საქმეს რას უშველის?!
ცრუ ვილჰელმის იმედი აქვს,
რომ ის მალე მოეშველის.

სანამ პეტრე მოვიდაო:
შავლეს ტყავი გააძრესო! —
ავსტრიას ეს დღე დაუდგა
ლამის ფეხთ — ქვეშ გასრისესო!..

ქალაქები ხელთ არ შერჩა:
„ლვოვი“ — და — „გალიცია“,
ჯაფრისაგან არა ესმის, —
ლამის ჭკვიდან აიწია!



ომი ლვოვთან
რუხის ჯაბი მიდის იერიშით ავსტრიის ჯარზე.



აქ ვილჰელმის ომის განცხადება — რუსეთისადმი.

ეს რო გაიგოს ვილჰელმი:
ავსტრიისა კაპან-წყვეტაც
მანც ომსა ქადულობდა
სწრაფ გიჟივით შეგეფეთა!!.

რუსეთს ომი განუცხადა,
დიდ ხანს იყო მოწადინე;
დღე და ღამ ომზედ ზრუნავდა,
იყო ომის მოლოდინე!..

ფიცხლავ ბრძანება გასცა:
ყველა პლანზე შეაყენა, —
ვინ სად უნდა წასულიყო,
რომელ გზითა, საითკენა?!

ომის პლანები წინათვე, —
მას ჰქონია შედგენილი!
საითკენა, რომელ მხარეს?
რომ იყოს გამარჯვებული,

მას პლანები გადაქრილი:
სამ მხარეს უნდ ყოფილიყო, —
ჯერ პარიუზედ, — და ვარშავზედ,
რომ ის პოლშას შესულიყო!..

რა-კი გაიგო ანგლო-ფრანციაში, —
გერმანიისა ეს ამბავი.
სწრაფლად რუსეთს შეუერთდნენ,
მასვე დაუჭირეს მხარი.

ანგლო-ფრანციამ განუცხადა, —
გერმანიას უცებ ომი,
ლაშქრები საზღვრებს შეაყენეს,
მის წინაშე დასახდომი...

ეს რო გაიგო ვილჰელმმა:
სამთა—კავშირის ამბავი!
ნემეცურად შეივინა, —
ჯავრით გაიქნია თავი...

გაიხსნა ომის ასპარეზი:
ვაი, ავსტრიისა ბრალია!
სერბია ავსტრიასა სჩეჩქავს
არ უვარგა სარდალია...

ვილჰელმი სუ გაიძახის:
მე, ავსტრია არას მარგებს!
იმისგნით არას მოველი, —
თვის ლაჩრობით ომს წააგებს...

იტალიის მქონდა იმედი, —
სიტყვა მამცა, უკან შესდგა!..
არ ინება მომხრეობა,
ისიც ჩემგნით განზედ დადგა!..

თუ გინდ ისიც არ მომეხსროს,—
მე არვისგნით მეშინიან!

ჩემ წინ აბა ვინ გაბედავ? —
არვინ თვალში არ მამდიონ!!.

ორმოც-წლის სამზადისი მაქვს:
ქვეყნად არვინ მეღარება!
ყველაფერი სუ მზათა მაქვს:
აბა წინ ვინ აღმიდგება?!



ბელგიელები თითონ აფეთქებენ ხილს, რომ
გერმანიელებმა მით არ ისარგებლონ.

ნეიტრალს ყური არ უგლო
იგი თვის ძალა იხმარა
არვის არ შეუშინდა

ატრიასა თვისი „ჯარა“!

ბელგიაზედ როს წავიდა:
იგი მედგრად წინ დაუხვდა,
გზა არ მისცა, გადიაროს,—
უსამართლოთ ომი ატყდა!

ორი თვე შეებრძოლა,—
ბელგიის ჯარი გულ-მედგრათა!
გერმანიას არ შეუშინდა,
წინ დაუხვდა უშიშრათა!..

IV

აქ ვილჰელმის გალაშქრება, ჯერ
პირველად ბელგიაზედ, რომელიც
ნეიტრალნი სახემწიფოდ ითვლებო-
და. ცრუ ვილჰელმი ისურვავა,—ახლო
გზით შეჭრილიყო პარიზში.

მოკლევ ყზა აირჩია

ბელგიაზედ გადიარა!

შორიდ წასვლა არ ინდომავს

ახლო გზიდან შეიარა!..

ვილჰელმს უნდოდა აელო
ცხენ-მაგარი „ლიეჟი“
მაგრამ ვერაფერი გახდა,
ველარც მიფართვი — „პარიჟი“!

მან ლიეჟის ასალეზა:
მრავალი ჯარი გასწყვიტა!
უდიდესი ზარბაზნებით,
ციხის ფორტები დახვრიტა!

ლორმოც დიუმიან — ზარბაზნებით,

ლოეჟი გაანადგურა!

წინ გაიწია ხოცვითა,

ბრიუსელიც არ დაიშურა!

ან ტვერპენსა შემოართყა:

თავის ჯარი — ჯამაათი,

ყუბარები დაუშინა

გაუწყვიტა ჯარს სურსათი!

ბელგიის — მეფე რაკი ნახა:

ჩავარდნილა ცუდ დღეშია.

თავს უშველა და გაიქცა,

თვის ჯარით „ოსტინდენშია“!

ბელგიის—მეფე თვით ალბერტი,—
თვის სამეფო გარდააგო!
სამთა-კავშირის გულისთვის,
თავის ტახტიც ზედ დაადო!..

სამთ—კავშირი, არ შეარგებს,—
მას, ასეთსა ვერაგობას
ყველაც ცხვირიდან აღენენ,—
„ნიტრალის“ ურიგობას.

აქ იკითხევით ახლა,— ჩესტახოვის და კალი-
შის: უეცრად დაცემა-დარბევაზედ, ცრუ-ვილ-
ჰელმისაგან.

საცა გინდა იქა ძვრება
ცრუ—ვილჰელმი,— ჭკუით ჩერჩეტი
ყოველი მხარე დაარბია
ის სულელი—„იდიოტი“!

პირველად კალიშზედ დაეცა:
აქ დაიწყო ყაჩაღობა:
მონასტრები მთლად გაქურდა,—
ხალხს დაუწყო ტაციობა!..

აქ ვინც რო შეხვდა დახოცა,—
ბერებიც არ დაიშურა!
მცოვრებოლებსა თავს დაეცა
შიშველ-ტიტველ გაისტუმრა!

კალიშზედ ჯარიმა დასდო:
ათასობით გამოართვა;
რაც რომ ბერებს ფული ჰქონდა,
ყველას ხელიდგან წაართვა!..

ჩესტახოვეშიც კვალად აგრე, —
ამ გვარ საქმე მოახდინა.
საცა შევიდა ყოველგან,
უარესი ჩაიდინა!..

დაჯდა, დაფიქრთა ესა სთქვა:
ნეტარი მე, რაღას ველი?!
წავალ ზარს-დავცემ პარიჟსა,
ამის აღებას მოველი!

ადგა ჯარები შეკრიბა, —
ურციხვი და უთვალავი!
მან პარიჟზედ გაილაშქრა, —
სიმამაცით — უღალავი

V

აქ ცრუ — ვილჰელმის ომი და, სასტიკი ბრძო-
ლა, — პარიჟის დაპყრობისათვის.

კალიშის დავლას, რომ მორჩა:
გაილაშქრა პარიზედა!
სამთა — კავშირს შეებრძოლა, —
ვერ იმარჯვა იერიშზედა...

894.63

6572

მრავალი ჯარი გაწყვიტა.
 მოკავშირეებს რას უზავდა?!
 აერო პლანების—ბომბებით,
 ნეტარცა რას გააწყობდა?!

ერთი—მილიონი ჯარითა
 იგი ვერაფერი გახდა
 ურიცხვი ჯარი დაჟლიტა
 ეს პლანი არ მოუხერხდა(!)

მრავალი ტყვე და სურსათი:
 მოკავშირეებს ხელში ღარჩა.
 პულიმეტი—ზარბაზნები
 უთვალავი, ჩვენებს შერჩა!!

აწ, ეს რო ნახა ვილჰელმი,
 ლამის ჭკუიდან აიწია!..
 რალა ექმნა უჩარობით?—
 პრუ! იისკენ გაიწია!..

პლანი ცუდათ ჩაუფუშდა
 ვერ აუსრულდა წადილი...
 და პარიჟში ვერ მიიღოთვა,
 ბორდოს—ღვინითა სადილი!!

ბევრი ბომბი ცეპელინით:
 შიგ პარიჟში გადუყარა!
 ხოლოდ მაგით ვერას გახდა,
 ჯავრა ვერაფრით იყარა
 დახასრული.

29283

საბჭოთა
 კავშირის
 ბიბლიოთეკა

894.63

ს 572

ეს წიგნი ისყიდება, ბაგრატ არნაუტოვის წიგნის მა-
ლაზიაში. გიორგევის ქუჩა, სახლი არჯივანძისა № 5.

